სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №314

29 აპრილი 2011 წელი ქალაქი ქუთაისი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე დავით ანდღულაძის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 4-64-48)

მეორეს მხრივ, შ.პ.ს ,,სინათლე–2006", (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ვახტანგ გაგუას სახით, (მისამართი: ხობის რ–ნი, სოფ. გურიფული ტელ: 895 31 73 79), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, (საკონკურსო განაცხადი №40 18.04.2011 წ.) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №40 საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქ. ქუთაისში მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვისათვის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (74 ობიექტი);

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთიათასი) ლარს;

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განახორციელდება თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ;
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

6. მომსახურების გაწევის პირობები

6.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებაში ასახული პირობების შესაბამისად;
6.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;
7.2 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მომსახურების ფაქტიური დადასტურების შემდეგ;
7.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

9. გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას;
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ გაწეული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშწორება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე;
10.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება,
ბ) მიმწოდებლის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი ანგარიშფაქტურა;
10.3. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში;

10.4 ანგარიშწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 10 სექტემბრის №1046 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ“ ინტრუქციის შესაბამისად;

10.5 მიმწოდებლის მოთხოვნით, მხარეთა შორის 50%–ის ოდენობით წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი საბანკო გარანტია საავანსო გადახდის თანხაზე;

10.6 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას;

10.7 ანგარიშწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

11. ფასები

11.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ფასს;

11.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში;

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. უფლებების გადაცემა

13.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობები.

14. სუბკონტრაქტორები

14.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით;

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;

14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

15.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

16. მხარეთა უფლება–მოვალეობები

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

16.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით;

16.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

16.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

16.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

16.4.2 განახორციელოს დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საავტორო ზედამხედველობა.

17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

17.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის 1500 (ათასხუთასი) ლარს;

17.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.

17.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

17.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

17.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

18.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება დაუყონებლივ უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან;
18.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

19. დაუძლეველი ძალა

19.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;
19.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
19.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

20. სადაო საკითხების გადაწყვეტა

20.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
20.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

21. გამოყენებული სამართალი

21.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

22. ხელშეკრულების ენა

22.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

23. შეტყობინება

23.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;
23.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

24. გადასახადები და დაბეგვრა

24.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

25. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

25.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;
25.2. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

26. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქალაქ ქუთაისის მერია	შ.პ.ს ,,სინათლე–2006"
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3	მის: ხობის რ–ნი, სოფ. გურიფული
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"	ს.ს ,,ლიბერთი ბანკი"
ქუთაისი ფილიალი	ხობის ფილიალი
ბ/კოდი: 220101605	ბ/კოდი: 220101465
ა/ა № 33033303	ა/ა 34020548
ს/კოდი: 212721170	ს/კ 244686194
ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე	შ.პ.ს ,,სინათლე–2006"
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	დირექტორი
---	---
დ. ანდღულაძე	ვ. გაგუა

ქ. ქუთაისში მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის „ქალაქ-მუზეუმის“ ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

	მისამართი	გადახურვის სახეობა	ფასი
1.	გაპონოვის ქუჩა №32	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
2.	გაპონოვის ქუჩა №34	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
3.	გაპონოვის ქუჩა №36	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
4.	გაპონოვის ქუჩა №48	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
5.	გაპონოვის ქუჩა №60	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
6.	თამარ მეფის ქუჩა №60-62	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
7.	ფალიაშვილის ქუჩა №35	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
8.	თბილისის ქუჩა №22	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
9.	ჩეჩელაშვილის ქუჩა №37	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
10.	ჩეჩელაშვილის ქუჩის 1-ლი შეს. №5	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
11.	რუსთაველის გამზ. №8	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
12.	დავით აღმაშენებლის გამზ. №12	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
13.	წმინდა ნინოს ქუჩა №17	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
14.	ლომონოსოვის ქუჩა №2/1	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის „გამარჯვების“ ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	ფასი
1.	ცხინვალის ქუჩა №1	ბიკროსტი	65 ლარი
2.	ჯავახიშვილის ქუჩა №49	ბიკროსტი	65 ლარი
3.	ზვიად გამსახურდიას გამზ. 1-ლი შეს. №9	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის „ძელქვიანის“ ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	ფასი
1.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №7	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
2.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №9	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
3.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №18	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
4.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №20	ფურცლოვანი თუნუქი	65 ლარი

5.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №26	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
6.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №28	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
7.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №34	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
8.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №40	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
9.	ილია ჭავჭავაძის გამზ. №44	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
0.	აკაკი ხორავას ქუჩა №6	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
1.	ლადო ასათიანის ქუჩა №94	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
2.	დავით აღმაშენებლის გამზ. №37	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
3.	დავით აღმაშენებლის გამზ. №39	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„გუმათის“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	ფასი
1.	ავალიანის ქუჩა №6	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
2.	იური ბერაძის ქუჩა №7	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
3.	ონის ქუჩა №40	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
4.	ონის ქუჩა №42	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
5.	კრილოვის ქუჩა №6	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
6.	ხეთაგუროვის ქუჩა №9ა	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„მუხნარის“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	ფასი
1.	სადგური „რიონი“ რკინიგზის ბინა №1	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
2.	სადგური „რიონი“ რკინიგზის ბინა №6	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„ნიკეას“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	ფასი
1.	ნიკეას ქუჩა №1/1	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
2.	ნიკეას ქუჩა №1/2	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
3.	ნიკეას ქუჩა №1/3	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
4.	ნიკეას ქუჩა №1/9	გოფრირებული თუნუქი, ბიკროსტი	65 ლარი
5.	ნიკეას ქუჩის 1-ლი შეს. №11ბ	გოფრირებული თუნუქი, ბიკროსტი	65 ლარი
6.	ნიკეას ქუჩა 19 №63	ბიკროსტი	65 ლარი
7.	ნიკეას ქუჩა №68	ბიკროსტი	65 ლარი
8.	ნიკეას ქუჩა №70	ბიკროსტი	65 ლარი
9.	ნიკეას ქუჩის მე-2 შეს. №32	ბიკროსტი	65 ლარი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„ავტოქარხნის“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	ფასი
1.	ლეჟავას ქუჩა №5ᵇ	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
2.	ლეჟავას ქუჩა №5	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
3.	ჩხობაძის ქუჩა №2	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
4.	ლეჟავას ქუჩა №8	ბიკროსტი	65 ლარი
5.	ჩხობაძის ქუჩა №8	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
6.	ავტომშენებლის გამზ. №29	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
7.	კიევის ქუჩა №3	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
8.	კიევის ქუჩა №5	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
9.	კიევის ქუჩა №7	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
10.	ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №6	ბიკროსტი	65 ლარი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„კახიანოურის“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	ფასი
1.	ახალგაზრდობის გამზ. №86	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
2.	ახალგაზრდობის გამზ. მე-2 შეს. №9	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
3.	ახალგაზრდობის გამზ. მე-2 შეს. №15	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
4.	ლეონიძის ქუჩა №4ᵃ	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
5.	ახალგაზრდობის გამზ. I შეს. №6	ბრტყელი გადახურვა	65 ლარი
6.	ახალგაზრდობის გამზ. მე-2 შეს. №19	ბრტყელი გადახურვა	65 ლარი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის მერიის **„უქიმერიონის“** ტერიტორიული ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, **ავარიულსახურავიანი** საცხოვრებელი სახლები

№	მისამართი	გადახურვის სახეობა	ფასი
1.	ჯავახიშვილის ქუჩა №4	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
2.	ჯავახიშვილის ქუჩა №16	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი
3.	დავით აღმაშენებლის გამზ. №50	გოფრირებული თუნუქი	65 ლარი

ბინების ჩამონათვალი, მართვის ტერიტორიული ორგანოების მიხედვით, სადაც დაზიანებულია კორპუსის ზედა ნაწილი

ქალაქ ქუთაისის მერიის ,,**კახიანოურის**" ტერიტორიული ორგანო

1. ახალგაზრდობის გამზირის მე-2 შეს. №19 ***88.75 ლარი***
2. ახალგაზრდობის გამზირი №56 ***88.75 ლარი***
3. წერეთლის ქუჩა №142 ***88.75 ლარი***

ქალაქ ქუთაისის მერიის **„ნიკეას"** ტერიტორიული ორგანო

1. ნიკეას ქუჩის 1-ლი შესახვევი №9 ***88.75 ლარი***
2. ნიკეას ქუჩის 1-ლი შესახვევი №11 ***88.75 ლარი***
3. ნიკეას ქუჩის 1-ლი შესახვევი №13 ***88.75 ლარი***

ქალაქ ქუთაისის მერიის **„ძელქვიანის"** ტერიტორიული ორგანო

1. ი. ჭავჭავაძის გამზირი №46ა ***88.75 ლარი***

ქალაქ ქუთაისის მერიის **„ავტოქარხნის"** ტერიტორიული ორგანო

1. მესხის ქუჩის 1-ლი შესახვევის №31 ***88.75 ლარი***

შენიშვნა: სულ 74 მაღლივი სახლი.
აქედან: 66 – ავარიულსახურავიანი საცხოვრებელი სახლი და 8 – დაზიანებულია საცხოვრებელი სახლის ზედა ნაწილი.

შესყიდვის ობიექტის ღირებულება უნდა მოიცავდეს კონკურსანტის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

ყველა გადასახადის გათვალისწინებით!!!
ვეთანხმები თქვენს ტექნიკურ პირობას.
შ.პ.ს ,, სინათლე-2006 "-ს
დირექტორი:

/ვახტანგ გაგუა/.